შირაქი

დედოფლისწყარო

№7 (10.063)

11—18 მარტი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ულოცავენ

ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, დიდი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ 8 მარტს.

ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია ღვთის უმშვენიერესი ქმნილების, ქალის გარეშე. ქალს განსაკუთრებული ადგილი და როლი აქვს სახლშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართული ქალი ჩვენი ტრადიციებისთვის უცხო არასდროს ყოფილა. გენდერული თანასწორობა, რომელიც დღეს ასე აქტუალური თემაა, ჩვენთვის ოდითგან იყო ორგანული. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ქალის პატივისცემა და დაფასება ყოველთვის ძალიან კარგად იცოდნენ, ამის მიუხედავად, 21-ე საუკუნეში ჯერ კიდევ მწვავედ დგას ფემიციდის პრობლემა, რაც ქალს გენდერულ ნიადაგზე არა მხოლოდ ფუნდამენტურ უფლებებს, სიცოცხლესაც ართმევს. ამასთან დაკავშირებით, ჩემს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად შევუერთდით მმართველი გუნდის მიერ წარმოებულ ყველა ანტიფემიციდურ კამპანიას, აღნიშნულ აქტივობებს მომავალშიც გავაგრძელებთ და მჯერა, რომ ფემიციდიც ძალიან მალე იქცევა წარსულის მოგონებად.

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლასა და წარმატებებს. უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი



ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, დიდი სიყვარულით გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს-დედის დღეს და ქალთა საერთაშორისო დღეს.

ქალბატონებო, თქვენს გარეშე სამყარო არ იქნებოდა ასეთი მშვენიერი, უფრო მეტიც, თქვენს გარეშე სამყარო საერთოდ არ იარსებებდა. ამიტომაც წელიწადის ყოველი დღე თქვენ გეკუთვნით, თუმცა გაზაფხულის ეს მშვენიერი დღეები საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ მოგეფეროთ და გამოვხატოთ ის სითბო და სიყვარული, რომელიც თქვენს მიმართ გაგვაჩნია.

თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება დედის მიმართ, რადგან ამაზე ბევრჯერ მისაუბრია. ასევე განვმეორდები და ვიტყვი, რომ ამ უფლისმიერი ფენომენის სრულყოფილად ახსნა და გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.

ასევე შეუძლებელია სიტყვებით გადმოსცე ის სიყვარული, რომელსაც ჩვენ განვიცდით ჩვენი ბებიების, დების, მეუღლეების , ქალიშვილების მიმართ. განა არსებობს ვინმე მათზე ტკბილი და საყვარელი? - რა თქმა უნდა, არა.

საყვარელო ქალბატონებო, გისურვებთ, წარმატებებს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. უფალს ვთხოვ, ყოველთვის იყოთ ბედნიერები და მზეგრძელები.

პატივისცემით,
ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ქალი, როგორც ისტორიული ფიგურა

საქართველოში ქალი მხოლოდ სამშვენისი ანდა ოჯახის უუფლებო წევრი არასოდეს ყოფილა. მას ყოველთვის ეკითხებოდნენ ჭკუას, ის იყო ოჯახის დედაბოძიც და პოლიტიკური ფიგურაც. ამისი მაგალითები უხვად შემოგვინახა ისტორიამ. საქართველოს მეთორმეტე საუკუნეში მართავდა ქალი მეფე, რომელმაც ქალის როლი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მაშინვე კარგად გაიაზრა და კრავაი ჯაყელისა და ხუაშაქ ცოქალის დიპლომატია აჯანყებულთა დასაშოშმინებლად გამოიყენა.

ყუთლუ-ასლანი მოთავეობდა რეფორმებს. იმ დროისთვის არგაგონილი მოთხოვნით გამოვიდა მომხრეთა დასთან ერთად: მეფის სასახლის გვერდით ისანში საგანგებო სასახლე, ისნის კარავი შეიქმნას და სწორედ მან გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი - მიიღოს კანონები, გასცეს წყალობა და გადაუწყვიტოს შერისხვაო... გაუგონარი კადნიერება გახლდათ. იზღუდებოდა მეფის უფლებანი. თანაც, მოთხოვნას იარაღის ჟღარუნიც ამაგრებდა.

პირველად აქ გამოჩნდა სამგზის სანატრელი თამარის გონიერება. საომრად გამზადებულ მოქიშპეთ მათთვის მოულოდნელი სვლა შესთავაზა: მოსალაპარაკებლად გაგზავნა კეთილშობილი და უსპეტაკესი მანდილოსნები - ქართლის ერისთავთ-ერისთავის, რატის დედა ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი. სწორედ მათ მოახერხეს ამბოხებულთა დაშოშმინება. თამარმა კი აღუთქვა სამეფო დარბაზის უფლებათა გაფართოება - უმნიშვნელოვანეს საკითხებს „დარბაზის თანადგომითა და ერთნებაობით“ გადავწყვეტთო...

მერე იყო შამქორის ბრძოლაში მუსლიმთა ჯარის დამარცხება, გამარჯვება ბასიანთან რუმის სულთნის რუქნადინის ლაშქრის წინააღმდეგ. თამარის დროს საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურად და კულტურულულად მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ქვეყნისთვის თავგანწირვის მაგალითად იქცა კახეთის დედოფლის, ქეთევან მუხრანბატონის ისტორია, რომელიც 1624 წელს ირანის ქალაქ შირაზში შაჰ-აბასის ბრძანებით წამებით მოკლეს. მიზეზი სარწმუნოების შეცვლაზე უარი იყო. მისი სხეულის ნაწილები საქართველოში ინდოეთიდან 23 სექტემბერს ჩამოიტანეს.

კიდევ ერთი ქალი, რომლის სახელიც შემოგვრჩა, როგორც უსამართლობასთან მებრძოლის, მაია წყნეთელია, მე-18 საუკუნის სახალხო გმირი, იგივე მათე ყაჩაღი. ზეპირსიტყვიერების ცნობით, მისთვის ბატონს შეურაცხყოფა მიუყენებია, ამის გამო მამამისს თავი ჩამოუხრჩვია, დედა კი შიმშილით გარდაცვლილა. შურისძიების გამო კაცურად გადაცმულს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის კარზე დაუწყია სამსახური. მას ბევრჯერ მებატონეების მიერ ყიზილბაშებზე გაყიდული ქალ-ვაჟი გაუთავისუფლებია, თუმცა დაბეზღების გამო იძულებული გამხდარა ყაჩაღად გავარდნილიყო. მაია წყნეთელი, რომლის გვარიც ისტორიამ არ შემოინახა, სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. მისი თავგადასავალი აისახა ქართულ ფოლკლორში, თეატრსა და კინოში.

სამეგრელოსთვის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელიც ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სამთავროს განკარგვის პროცესში. ქმრის, დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე მისი შვილი ნიკო სრულწლოვანი გახდებოდა, რუსეთის იმპერატორმა ის რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს, როცა სამეგრელოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს, ეკატერინე ჭავჭავაძე აქტიურად შეუდგა სახალხო თავდაცვის ორგანიზებას და პირადად მონაწილეობდა მტრის რაზმებზე თავდასხმაში.

საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა მარო მაყაშვილი. წითელი არმიის შემოჭრის დღეებში, 19 წლის სტუდენტი ფრონტზე მოხალისედ წავიდა, წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაეწერა. ის ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. ქართულმა საზოგადოებამ, რაც მაშინდელ პრესაშიც აისახა, მას ქართველი ჟანა დარკი უწოდა. იგი გახდა პირველი ქალი, რომელსაც ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

მერე იყო 9 აპრილი და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ბევრი ახალგაზრდა ქალი შეეწირა. მათი თავგანწირვა მაგალითად იქცა მომავალი თაობისათვის.

ამის მიუხედავად, ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ გვიხდება ბრძოლა ქალთა უფლებებისათვის, ქალთა სიცოცხლისათვის...

მაგრამ... ისტორიის გარდამტეხ ეტაპზე ქართველი ქალი ისევ ამბობს გადამწყვეტ სიტყვას, შვილებს საგზლად ატანს სამშობლოს სიყვარულს და ისტორიულ გამოცდილებას.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა



C M Y K

შექსპირი – ორიგინალში

ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული თეატრი „ბერიკონის“ (ხელმძღვანელი ცარო მარტიაშვილი) და ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ინგლისურენოვანი კლუბის **„English Speaking Club”** (ხელმძღვანელი ეკა სეფიაშვილი} წევრებმა ერთობლივი სპექტაკლი - შექსპირის „მეფე ლირი“ ფრაგმენტები წარმოადგინეს და საფუძველი ჩაუყარეს ურთიერთთანამშრომლობას - ორენოვანი სპექტაკლების ჩვენებას. რეჟისორი ცარო მარტიაშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ თანამშრომლობა სამომავლოდაც გაგრძელდება.

„ეს იყო საოცრება! შეუძლებელი შემაძლებინეთ და დიდი ხნის ოცნება ამისრულეთ მადლობა ბავშვებო!“ – აღნიშნავს ცარო მარტიაშვილი.

ახალგაზრდა მსახიობები საუკეთესო ინგლისური მეტყველებითა და შესაშური არტისტიზმით გამოირჩეოდნენ: მეფე ლირი - ლუკა მენთეშაშვილი; გონერილა - მარიამ ხუციანიძე; რეგანა - მარიამ ალუღიშვილი; კორდელია - მარიამ ყოჩიაშვილი; მთხრობელი - ნინო პაპუაშვილი.

ერევანში ქართველოლოგიის ცენტრი დაარსდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა, ჯაბა სამუშიამ სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს, ჟანა ანდრეასიანს და დელეგაციის სხვა წარმომადგენლებს უმასპინძლა.

მხარეებმა საქართველოსა და სომხეთს შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ურთიერთობის გაღრმავებაზე იმსჯელეს. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის შექმნის და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული არმენოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გაძლიერების საკითხი განიხილეს.

„თსუ-სა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა, ჯაბა სამუშიამ და ერევნის უნივერსიტეტის რექტორმა, ჰოვანეს ჰოვანისიანმა მოაწერეს. მემორანდუმი ორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებს შორის კავშირების გამყარებას, სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების განვითარებას ხელს შეუწყობს. ხელშეკრულების ფარგლებში თსუ-ის არმენოლოგიის მიმართულების სტუდენტები ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობას განახორციელებენ, ხოლო ერევნის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის მიმართულების სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრებიან. გარდა ამისა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები დაიგეგმება.

სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ჟანა ანდრეასიანი დელეგაციასთან ერთად, თბილისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის მოწვევით იმყოფება.

ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს დიმიტრიოს კარაბალისს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა დიპლომატს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ხაზი გაესვა სადამკვირვებლო მისიის, როგორც ადგილზე არსებული ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის როლს რეგიონული უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფაში.

ირაკლი ღარიბაშვილმა და დიმიტრიოს კარაბალისმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული უსაფრთხოების გარემოსა და ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრეს. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკის მიმართ საქართველოს მთავრობის ერთგულება.

საუბარი ასევე შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და გამოწვევებს. შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე ესწრებოდა. ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მედიკოსები დაჯილდოვეს

კახეთის რეგიონში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შეხვედრა თელავის ისტორიული მუზეუმის დარბაზში შედგა. შეხვედრა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის ინიციატივით შედგა და მასში რვავე მუნიციპალიტეტის მერიც მონაწილეობდა. ექიმებს მადლობა გადაუხადეს რეგიონში ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვაში შეტანილი წვლილისთვის, სიმბოლური საჩუქრები, ხოლო ქალბატონებს თაიგულები გადასცეს და გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს. შეხვედრას დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი **მარიეტა გონაშვილი,** დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ხელმძღვანელი **ხათუნა ზურიკაშვილი** და გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელი **ვასილ სამადაშვილი** ესწრებოდნენ.

ვაჟა დურგლიშვილი - 75



წელს, ცნობილ ქართველ კომპოზიტორს, ვაჟა დურგლიშვილს, დაბადებიდან 75 წელი უსრულდება. ხელოვანის საიუბილეო საღამო დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში გაიმართა. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ მომღერლები: ბესიკ კალანდაძე, ზურაბ კობეშავიძე და ტატო გოდერძიშვილი. საყვარელ კომპოზიტორს 75 წლის იუბილე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა. მერმა მას ჯანმრთელობა და პროფესიული წარმატებები უსურვა. ვაჟა დურგლიშვილმა საღამო მრავალშვილიან დედებს მიუძღვნა.

ტრენინგი გიდებისა და კულინარიული ტურიზმის ბიზნესისთვის

დედოფლისწყაროში ესტონურ-ქართული პროექტი გრძელდება...

როგორც მკითხველმა იცის, უკვე შესაძლებელია ადგილობრივმა ტურისტულმა ბიზნესებმა ასოციაციის საიტზე გაიარონ თვითშეფასების პროცესი და სავალდებულო და სარეკომენდაციო კრიტერიუმების დადგენილი პროცენტის დაკმაყოფილების შემდეგ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციას მიმართონ „კარგი მასპინძლის“ სერტიფიკატის და ეტიკეტის მისაღებად. თვითშეფასების პროცესი მოქმედ ბიზნესებს ეხმარება, დაინახონ თავისი სერვისის დადებითი მხარეები და დააფიქსირონ გასაუმჯობესებელი საკითხები. იმ პირებს კი, ვისაც აქვს ტურიზმის ბიზნესში ჩართვის სურვილი და მოსწონს მომსახურების სფეროში მუშაობა, კრიტერიუმების გაცნობა საშუალებას აძლევს, მოტივირებულად დაიწყონ და სწორად წარმართონ თავისი ბიზნესი, დასახონ განვითარების გეგმები.

ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაცია ტრენინგების საშუალებით პრაქტიკულადაც გვეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ დღეებში სასტუმრო „ავტოგრაფში“ ჩატარდა ტრენინგები ბუნების ტურიზმში დასაქმებული გიდებისა და მძღოლებისთვის თეორიული და პრაქტიკული ნაწილებით, ასევე - ტრენინგი თემებზე: „კულინარიული ღონისძიებების მოწყობა, რეგიონის, როგორც კულინარიული ტურისტული დესტინაციის, მარკეტინგი“ და „შეთავაზებების/მომსახურების შემუშავება და პარტნიორული თანამშრომლობა“.

ბუნების ტურიზმის მიმართულებით ძალიან სასარგებლო და საქმიანი პრეზენტაციები წარმოადგინეს ბიომრავალფეროვნების დაცვის სპეციალისტმა თეიმურაზ პოპიაშვილმა, ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორმა მარიკა კოსსემ და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა, სერტიფიცირებულმა ტრენერმა, ზურაბ შანშაშვილმა. მათ ტრენინგის დამსწრე გიდებსა და მძღოლებს გააცნეს ის სავალდებულოდ შესასრულებელი აქტივობები და პროცედურები, რაც საჭიროა ტურის სწორად დაგეგმვის, სწორად აღჭურვის და უსაფრთხოდ ჩატარებისათვის. მეორე დღეს ტრენინგის მონაწილეებმა გარკვეული პრაქტიკა ბუნებაში გაიარეს.

კულინარიული მემკვიდრეობის საერთაშორისო ქსელის **https://www.culinaryheritage.net/contact** გლობალურმა კოორდინატორმა ნიკლას ფიელშტრომმა მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული სერვისების შესახებ, აჩვენა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებული უცხოელი სტუმრების მოლოდინები, პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით აუხსნა ბიზნესის მიერ თავისი სერვისის სწორად შეთავაზების მნიშვნელობა, ერთ რეგიონში საქმიანობის დროს თანამშრომლობის ქსელის დადებითი მხარეები. ტრენინგის დასასრულს მისმა მონაწილეებმა ისაუბრეს კულინარიული და სოფლის ტურიზმის მიმართულებით დედოფლისწყაროში დაგეგმილ თავის საქმიანობაზე.

საინტერესო და ოპტიმისტური იყო სტუმრის შეფასება: „დედოფლისწყაროში გაქვთ საოცარი ხედები, საუკეთესო ღვინო და გემრიელი სამზარეულო. ახლა საჭიროა, ეს ყველაფერი ერთად სწორად შესთავაზოთ სტუმარს და წარმატება გარანტირებული გექნებათო.“

მანანა ყატაშვილი
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალ ფუნქციას შეიძენს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პროექტის - „ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რენოვაცია - მისი გადაქცევა მრავალფუნქციური მიზიდულობის ცენტრად“ განხორციელება იგეგმება.

პროექტის პრეზენტაცია და მოსახლეობისთვის გაცნობა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 10 მარტს გაიმართა. პრეზენტაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსთან ნათია ტატიშვილთან ერთად დაესწრო. პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის უფროსმა სპეციალისტმა საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილმა წარმოადგინა.

პროექტი „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. შეხვედრას დედოფლისწყაროს სასწავლო-საგანმანათლებლო სფეროს, ტურიზმის, კულტურისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პროექტი რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) ნაწილს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მხოლოდ ოთხ: გურიის, იმერეთის, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში ხორციელდება და იძლევა საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობას ურბანული, ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით. კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია ორი მილიონი ევროს ოდენობით. რეგიონებს შორის გასაცემი მოცულობა პროცენტულად ნაწილდება შემდეგნარიად: იმერეთი 43,8%, კახეთი 35,6%, გურია 14%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის 6,6%. პროექტის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (GESL) განხორციელებაზე პასუხისმგებელ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და მუნიციპალიტეტებს ან ინტერმუნიციპალური დანიშნულების ორგანიზაციებს შორის გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები. პროექტის ფარგლებში დამატებით, უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური მხარდაჭერა პროექტის შემუშავებისა და მისი განხროციელების ეტაპზე.

„აღნიშნულ პროგრამაში პროექტი წარადგინა დედოფლისწყარომაც, რომელიც „ქალაქ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რენოვაცია-მისი გადაქცევა მრავალნფუქციური მიზიდულობის ცენტრად“ ისახავს მიზნად. პროექტის მთლიანი ღირებულება 495 900 ლარია, აქედან 5900 ლარი მუნიციპალიტეტის წილია, დანარჩენი საგრანტო დაფინანსებაა. პროექტი მიზნად ისახავს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის გზით, შეიქმნას ხელსაყრელი გარემო ვიზიტორთა ნაკადების მოსაზიდად, გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების მოსაწყობად, სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო წრეების (კულტურა, ისტორია-არქეოლოგია, გარემოსდაცვა), შემოქმედი ადამიანების, სტუდენტი-ახალგაზრდობის მოზიდვას და ინტეგრირებულ ადგილობრივ განვითარებას; ბიზნესის სფეროში მოქმედი ადგილობრივი მეწარმე სუბიექტების (ტრადიციული რეწვა, ხელნაკეთი ნივთები, ადგილობრივი ხელოვნების, მათ შორის



ქალების და შშმ პირების ნამუშევრები) ბმას კულტურულ და შემოქმედებით ტურიზმთან და მათი შემოსავლების ზრდას; ზოგადად, რეგიონის პოპულარიზაციას მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერებას მუნიციალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ჭრილში“ - აღნიშნა პროექტის წარმდგენმა, ანა ბენაშვილმა.

ანა ბენაშვილმა ასევე ისაუბრა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების, პროექტის რეგიონალური მნიშვნელობისა და მისი ბენეფიციარების შესახებ: „პროექტის განხორციელების ადგილი წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის არქეოლოგიური სამეცნიერო წრეების ინტერესის არეალს, რადგან აქ ბოლო პერიოდის აღმოჩენებმა შესაძლოა შეცვალოს აქამდე არსებული ვერსიები ევროპული ცივილიზაციის სათავეების შესახებ. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ის სივრცეა, სადაც მოხდება ახალი ექსპონატებისა და მიღწევების დემონსტრირება და საერთაშორისო ხედვის ფოკუსში მოქცევა. აქვეა ევროპული პასპორტის მქონე (ერთადერთის საქართველოში) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, მიმდინარე წელს კი იუნესკომ დედოფლისწყაროს ბიორეზერვატის სტატუსი მიანიჭა მას, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას. პროექტი მნიშვნელოვანი იქნება არქეოლოგიური სამეცნიერო წრეებისთვის, ისტორიკოსებისთვის, სტუდენტებისთვის, ადგილობრივი მეწარმეებისთვის, ადგილობრივი ტურისტული ბიზნესისთვის“ - აღნიშნა მან.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა და პროექტი დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა**: „ეს არის შესაძლებლობა, რომ ჩვენი ახალგაზრდებისთვის საინტერესო, მიმზიდველი და კომფორტული გარემო შევქმნათ არამარტო სამუშაოდ, არამედ დასასვენებლადაც. ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ძალიან კარგია ლამაზი, მოწესრიგებული შენობები თავისი ინფრასტრუქტურით, მაგრამ აუცილებელია ამ შენობების შინაარსობრივი დატვირთვა და ფუნქციონირება. საერთო იდეებით, კომუნიკაციით, ადგილობრივ მეწარმეებთან, ტურიზმთან თუ ახალგაზრდებთან შეხვედრა/კონსულტაციები ამ პროექტს ხორცს შეასხამს და გვექნება კომფორტული გარემო, რომელიც შეანელებს ახალგაზრდების მიგრაციის პროცესს, მისცემს მათ ადგილზე რეალიზების შესაძლებლობებს, რითაც მოხდება ინოვაციური იდეებისა და ახალი უნარების ინვესტირება კულტურული და სასწავლო-შემოქმედებითი ტურიზმის განვითარების მიმართულებით“- განაცხადა მან.

თავისი შეხედულებები გაუზიარეს დამსწრე საზოგადოებას ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა, სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორმა ნუნუ ცაკაშვილმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციის წარმომადგენელმა ამირან კოდიაშვილმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა დალი ბაღაშვილმა. შეხვედრის დასასრულს ამავე მუზეუმის დირექტორმა, ლალი გურასპაულმა მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორებს ყურადღებისა და ზრუნვისთვის. გაზეთი „შირაქი“ შემდგომში უფრო ვრცლად შემოგთავაზებთ პროექტის შემუშავებისა და განხორციელების შესახებ არსებულ ინფორმაციას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

პარლამენტმა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტი მეორე მოსმენით ჩააგდო

საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად გაიწვია კანონპროექტი „უცხოური გავლენის“ შესახებ, რომელმაც ამ კვირაში საპროტესტო აქციები და ვნებათაღელვა გამოიწვია. რუსთაველის გამზირი კვლავ იქცა მოვლენათა მთავარ ეპიცენტრად. სახელისუფლებო წრეების გადაწყვეტილებაზე ახალგაზრდების პოზიციამ იქონია გავლენა. როგორც „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, „არცერთი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე არ ღირს არცერთ კანონად“. თქვეს და პირობაც შეასრულეს. მანამდე კი ქართული პოლიტიკური რეალობა დამძიმდა. ახალი კანონპროექტის შესაძლო მიღებას აურზაური მოჰყვა პოლიტიკურ წრეებში. საღათას ძილს მიცემული პოლიტიკური ფიგურებიც აფუთფუთდნენ და თავი გამოიდეს - თამამი განცხადებები ღიად გააკეთეს და ამით თითქოს გარანტიებიც მიიღეს - ხელშეუხებლობის და არა აგენტურული ქსელის თანამონაწილის...

საქართველოს ახალგაზრდობა მკვეთრად პრინციპული აღმოჩნდა და წინდახედულიცაქციაზე არც ერთი პოლიტიკური ლიდერის ზემოქმედების ქვეშ არ მოექცა და თავისი პოზიცია მკვეთრად დააფიქსირა: - **„არა რუსულ კანონს!“** ამასთანავე ღიად უთხრა უარი დრომოჭმულ პოლიტიკურ პარტიებს, მათ ლიდერებს და არ მისცა უფლება, ეს აქციები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის და ქვეყნის არევისთვის გამოეყენებინათ.

სამი დღის მანძილზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქციები და მთავარ მოთხოვნას კანონის გაწვევის შესახებ მხოლოდ აქა-იქ არღვევდა შეძახილი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით. მას არავინ აჰყოლია.

სამაგიეროდ ახალგაზრდებმა თავად აიღეს ხელში მიტინგის მართვის სადავეები და აქციის დაწყებისა და დასრულების გადაწყვეტილებაც ძალდაუტანებლად მიიღეს.

რატომ მიიჩნევდა ხელისუფლება, რომ ეს კანონი უნდა მიეღოთ? ამის შესახებ განმარტებას პეტრე მამრაძე აკეთებდა.

„ამაზე ადრეც აკეთებდნენ დასავლეთის მეცნიერები განცხადებებს, რომ საქართველოში დამყარდა „ენჯეოკრატია“ და ხდება ყალბი იმიტაცია სამოქალაქო საზოგადოების, სინამდვილეში დასავლეთის ფული და ენჯეოების მოქმედება ხმარდება არა დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს საქართველოში, არამედ სააკაშვილის ავტორიტარულ მართველობას, ასე არ უნდა ექცეოდნენ მეგობრებსო... „ოცნებასთან“ დამარცხების შემდეგ სააკაშვილმა ქვეყნიდან წასვლამდე სოკოებივით მოამრავლა ენჯეოები, რომლებიც ახლაც აგრძელებენ მოქმედებებს. რაც შეეხება მმართველ გუნდს, როგორც ჩანს საკმარისად ვერ იმუშავა დასავლელ პარტნიორებთან, დროულად და შესაბამისი ფორმით ვერ აუხსნა კანონის შინაარსი. შესაძლებელია ტერმინებიც არ შეარჩია ოპტიმალურად, რამაც გამოინვა ასოციაციები რუსულ კანონთან და შედეგიც მივიღეთ, ერთი მხრივ ნაცებისა და მათი თანამზრახველების მიერ ინსპირირებული დემონსტრაციები და პროტესტი, მეორეს მხრივ, ჩვენი პარტნიორების განცხადებები და მოწოდებები, რომ ეს კანონი მიუღებული იყოს და განხილვაც არ უნდა ხდებოდეს მისი“, - განმარტავდა პეტრე მამრაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, დეპუტატმა გიორგი კახიანმა შეცდომა უწოდა „უცხოეთის გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მხარდაჭერას და აღნიშნა, რომ ამის აღიარება არის მნიშვნელოვანი. ამის შესახებ დეპუტატმა მედიასთან პარლამენტში ისაუბრა და დააზუსტა, რომ შეცდომა იყო არა იმ თვალსაზრისით, რომ კანონპროექტი არ იყო საჭირო, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ფართო საზოგადოებისთვის გასაგებად ვერ ახსნეს, რას ემსახურებოდა იგი.

„ფაქტია, რომ, როდესაც ასეთი რეზონანსი მოჰყვება ამას და საზოგადოების მხრიდან ასეთი განწყობა, ბუნებრივია, შეცდომა იყო ამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება. არა იმიტომ, რომ კანონპროექტი თავისი შინაარსით არ შეესაბამება დღევანდელ ჩვენს ინტერესს, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ ვერ შევძელით საზოგადოებამდე სწორად მიტანა იმის, თუ რას ემსახურებოდა ეს კანონი, რა წერია მასში და იმ დეზინფორმაციამ, პრინციპში, თავისი გააკეთა... რომ გავიხსენოთ, როგორი თანმიმდევრობა იყო, როგორი გადაწყვეტილება იყო მიღებული, რომ ჩვენ მოვახდინეთ კანონის ინიცირება, ჩვენ კი არა, თავის დროზე მხარი დავუჭირეთ ამის ინიცირებას იმ გათვლით და იმ დათქმით, რომ ეს გადაიგზავნებოდა ვენეციის კომისიაში. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, იქნებოდა დროში გაწერილი პროცესი, დროში ეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ნახევარი წელი და ამ ხნის განმავლობაში, ბუნებრივია, იქნებოდა კიდევ მსჯელობა. თუ რამე იქნებოდა ამ კანონში შესაცვლელი, ეს თავისუფლად შეიცვლებოდა შემდგომ ეტაპზე“, - განაცხადა გიორგი კახიანმა პარლამენტში კანონპროექტის მეორე მოსმენით კენჭისყრამდე, რომლის შედეგადაც კანონპროექტი ჩავარდა.

კანონპროექტის ჩავარდნის შემდეგ პარლამენტში გაკეთებულ კომენტარში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ „აგენტების“ კანონ-პროექტმა სამი „მნიშვნელოვანი საქმე“ გააკეთა, მათ შორის „ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა“ და ყველამ გაიგო იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც „არასახელმწიფო საქმიანობაში“ არიან ჩართული.

10 მარტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს მეორე მოსმენით უყარა კენჭი და ჩააგდო.

ეს მას შემდეგ, რაც საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას. კანონპროექტი უცხოეთის გავლენის აგენტად დარეგისტრირებას ავალდებულებდა არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიასაშუალებებს, რომელთა დაფინანსების დიდი ნაწილი (მინიმუმ 20%) უცხოეთიდანაა მიღებული.

ქალთა დღესასწაულები მიულოცეს

არიან ქალები, რომელთათვისაც ქალთა დღესასწაულები მხოლოდ კალენდარზე აღნიშნული ერთი ჩვეულებრივი თარიღია. მათ დიდი ხანია, დაავიწყდათ, რომ სიყვარულისა და ყურადღების ობიექტები არიან, ისიც აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის უთხრეს სიტყვა „მიყვარხარ!“. ყოველდღიური საზრუნავი მხრებზე მძიმე ტვირთად დასწოლიათ და ფაქიზი გრძნობებისგან დაცლილა მათი სულიც... სათნოების სახლი სავანეა მათთვის, ვისაც ყურადღება და საკვები ერთნაირად ენატრება.

სათნოების სახლის ბენეფიციარი ქალბატონები ქალთა დღესასწაულებს, დიდი ხანია, აღარ აღნიშნავენ. მათთვის მთავარი ყოველდღიური საზრუნავია - საკვები, წამალი და სითბო... ადამიანურ სითბოს ერთმანეთისგან და „სათნოების სახლის“ ხელმძღვანელისა და აქ მომუშავე პერსონალისგან იღებენ. მაგრამ ხანდახან მაინც ახსენდებათ, რომ ქალები არიან და მათაც უნდათ ყვავილები და ყურადღება.

8 მარტს მათ ნორჩები ესტუმრნენ, ლექსები წაუკითხეს და დაატკბეს თავიანთი წკრიალა ხმებით. კონცერტის დასასრულს კი ყვავილები აჩუქეს ბებიებს. ბებიების თვალებში სიხარულის ნაპერწკალი აკიაფდა. ნორჩებს მოეხვივნენ და მათგან მიიღეს ის დადებითი მუხტი, რომელსაც ბავშვები უხვად და უშურველად გასცემდნენ.

დედოფლისწყაროს სათნოების სახლში საბავშვო სტუდია „ცეროდენას“ ინიციატივით მოხუცებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. როგორც სტუდიის ხელმძღვანელმა **ნინო ლოლაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათი დიდი ხნის სურვილი იყო ბენეფიციარებს წვეოდნენ და ერთი დღე გაელამაზებინათ.

„წლიურ გეგმაშიც გვაქვს ხოლმე ასეთი შინაარსის ღონისძიებების მოწყობა და დიდი ხანია ვფიქრობდით მათთან სტუმრობაზე. გადავწყვიტეთ, რომ ამჯერად ეს ქალთა დღესასწაულებისთვის დაგვემთხვია და სწორედ მარტის პირველ კვირაში ვეწვიეთ სათნოების სახლს. ჩემი ბავშვები დიდი ინტერესით ელოდნენ ამ დღეს, საგანგებოდ ემზადებოდნენ. მოამზადეს სპეციალური პროგრამა. თავად ბავშვებმა მოიტანეს ყვავილების თაიგულები და საჩუქრად გადასცეს ბენეფიციარებს. ვეცადეთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ამ ადამიანების ცხოვრების გალამაზებაში და მცირე ყურადღება გამოგვეჩინა მათი მისამართით. ვფიქრობ, ეს კარგად გამოგვივიდა, რადგან მათი გაღიმებული სახეები და გაბრწყინებული თვალები ვნახეთ. ჩვენი მიზანიც ეს იყო, რომ დროებით დაგვევიწყებინა ყოფითი პრობლემები და მათთვის ბედნიერი წუთები გვეჩუქებინა,“ — აღნიშნა ნინო ლოლაშვილმა.

8 მარტი და ქალთა სხვა დღესასწაულები...

ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გენდერული დღესასწაულია მთელ მსოფლიოში. მის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს: სადღაც ის ქალურობისა და სილამაზის დღესასწაულია, სადღაც კი ხაზს უსვამს თავისუფლებისა და თანასწორობის ღირებულებებს. 8 მარტი არ არის ერთადერთი დღესასწაული, რომელიც მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ეძღვნებათ. მთელი წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში არსებობს დღეები, როდესაც ქალებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ეს პროფესიული დღეებიცაა და ტრადიციული ფესტივალებიც, ასევე მნიშვნელოვანი მიღწევების დღეები ქალთა უფლებების დამკვიდრებაში.

დედის დღე - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დღეა მსოფლიოში, რომელიც ეძღვნება დედობას და დედების როლს საზოგადოებაში. მას 40-ზე მეტ ქვეყანაში ზეიმობენ, ძირითადად კი მაისის თვის მეორე კვირა დღეს. 26 აგვისტოს აშშ-ში ქალთა თანასწორობის დღე აღინიშნება. ეს თარიღი შემთხვევით არ არის არჩეული: 1920 წელს ამ დღეს აშშ-ის კონსტიტუციის მე-19 ჩასწორება დამტკიცდა, რომელიც ქალებს უფლებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. პირველი დღესასწაული აღინიშნა 1972 წელს, როდესაც პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა გამოუშვა პროკლამაცია და 26 აგვისტო ქალთა თანასწორობის დღედ გამოაცხადა.

იაპონია - იაპონიაში ქალთა საერთაშორისო დღე ოფიციალურად არ აღინიშნება, მაგრამ სამ მარტს ქვეყანაში „ხინამაცურის“ ზეიმობენ, (იგივე გოგოების დღეს), რომელიც ცნობილია ასევე როგორც თოჯინების დღედ. ამ დღეს იაპონელები გოგოების ჯანმრთელობისა და ბედნიერებისთვის ლოცულობენ. პირველად „ხინამაცურის დღე“ მოხსენიებულია 794-1185 წლებში.

სომხეთი - დედების და სილამაზის დღე სომხეთში 7 აპრილს აღინიშნება. 1990 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყანაში განიხილებოდა საკითხი, რომ 8 მარტი ამოეღოთ სახელმწიფო დღესასწაულების რიცხვიდან და ჩაენაცვლებინათ ის დედის დღით. საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ორივე დღესასწაული აღინიშნება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა - 9 აგვისტოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ქალთა ნაციონალური დღე აღინიშნება. 1956 წელს, 20 ათასზე მეტი ქალი გამოვიდა მთავრობის სახლთან პრეტორიაში აპარტეიდის კანონების წინაღმდეგ გამართულ აქციაზე. ქალები 30 წუთის განმავლობაში ჩუმად იდგნენ მთავრობის სახლთან, რის შემდეგაც სიმღერა შეასრულეს, რომლის სახელიც ითარგმნება შემდეგნაირად: „როდესაც თქვენ ასწიეთ ხელი ქალზე, თქვენ დაარტყით კლდეს“.

მოზამბიკი - ქალთა ნაციონალური დღე მოზამბიკში 7 აპრილს აღინიშნება, ის ასევე ცნობილია როგორც მოზამბიკელი ქალის დღე. დღესასწაული ნაციონალურ გმირს, ჟოზინა მაშელს ეძღვნება, რომელიც 1971 წლის 7 აპრილს დაიღუპა. ჟოზინა მაშელი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, სამორა მაშელის ცოლი იყო, ის ცნობილი იყო როგორც ორგანიზაცია „მოზამბიკის განმათავისუფლებელი ფრონტის“ აქტივისტი. მან დიდი როლი შეასრულა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. ამ დღეს მოზამბიკელი ქალები ცეკვავენ და მღერიან ტრადიციული მუსიკის ფონზე.

ტუნისი - ნაციონალური ქალთა დღე-13 აგვისტო-1956 წელს, ამ დღეს, მიიღეს პირადი სტატუსის კოდექსი, რომელიც ქალებს აღიარებდა სამართლის სუბიექტებად. პრემიერ-მინისტრ ჰაბიბ ბურგიბას მიერ მიღებულმა კოდექსმა გააუქმა პოლიგამია, შემოიღო განქორწინების სამართლებრივი პროცედურა და ქორწინების წინაპირობა ორივე პარტნიორის ორმხრივი თანხმობა გახადა.

სამხრეთ ამერიკა - აფრო-ლათინური, აფრო-კარიბული და აფრიკელი ქალების საერთაშორისო დღე - 25 ივლისიეს დღე პირველად 1992 წელს აღინიშნა, როდესაც დომინიკის რესპუბლიკაში გაიმართა აფრო-ლათინო-ამერიკული და აფრო-კარიბული ქალების პირველი სამიტი რეგიონის 32 ქვეყნიდან. ამ შეხვედრის მთავარი თემა იყო რასიზმისა და სექსიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ქალები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს!

მსოფლიოს ახსოვს ქალები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ყოველთვის განიცდიდნენ აშკარა დისკრიმინაცია სქესის მიხედვით, რეალური პროგრესი მაინც მიღწეულია. ქალებმა საკმაოდ გრძელი გზა განვლეს, რათა მოეპოვებინათ ის თავისუფლება, რომელიც აქვთ დღეს. გილოცავთ 8 მარტს და სწორედ იმ ქალბატონებს წარმოგიდგენთ, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალეს და უამრავი ადამიანის შთაგონების წყაროც გახდნენ.

პოკო შანელი (1883–1971)

ფრანგი დიზაინერი, რომელმაც მოდის სამყაროში უდიდესი წვლილი შეიტანა. ის მეოცე საუკუნის ცენტრალურ ფიგურად და სტილის იდეალად ითვლებოდა. კოკო შანელი რევოლუციური იდეებით გამოირჩეოდა და კაცის ტანისამოსს ხშირად ქალს არგებდა. აღსანიშნავია, რომ ეს ქალბატონი დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

მერილინ მონრო (1926–1962)

ამერიკული კინოს ლეგენდა და ქალის იდეალად მიჩნეული მსახიობი, რომლის ფილმები საკმაოდ დიდ წარმატებას აღწევდა. მერლინ მონრო ფოტოგენურობით, გლამურითა და დახვეწილობით გამორჩეული ქალბატონი იყო.

ოდრი ჰეპბერნი (1929–1993)

50-იანი და 60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალბატონი, ბრიტანელი მსახიობი ოდრი ჰეპბერნი გახლავთ. მან მოახერხა ქალის გლამურის და ღირსებების განსაზღვრა და სამსახიობო კარიერის დასრულების შემდეგ ცხოვრების დარჩენილი ნაწილი ჰუმანიტარულ საქმიანობას დაუთმო. აღსანიშნავია ისიც, რომ ოდრი მეოცე საუკუნის ყველაზე ლამაზ ქალად დასახელდა.

პრინცესა დიანა (1961–1997)

ბრიტანელი პრინცესა, რომელმაც პრინც ჩარლზთან არსებული სირთულეებით სავსე ქორწინების მიუხედავად საზოგადოებაში სითბოთი და სიყვარულით აღსავსე პრინცესას სახელი დაიმკვიდრა. პრინცესა ქველმოქმედებით გამოირჩეოდა და ღარიბთა და მიუსაფართა დასახმარებლად არაფერს იშურებდა.

ჟ.როულინგი (1965–...)

ყველასათვის საყვარელი წიგნის „ჰარი პოტერის“ შემქმნელი ავტორი, რომელმაც უამრავი ადამიანის ცხოვრება მისი წიგნებით შეცვალა. კრიტიკოსები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ როულინგის წიგნებმა ბავშვებში კითხვის მოთხოვნილება გაზარდა. მისი პირველი წიგნი მარტოხელა დედებზე მოგვითხრობდა, რომლებიც გამუდმებით იბრძვიან და ბოლოს სწორედ ისინი ხდებიან საუკეთესო თვითნასწავლი ქალების მაგალითები.

მადონა (1958–...)

ამერიკელი პოპვარსკვლავი, მსახიობი და შემსრულებელია, რომელიც ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქალ-მომღერლად მიიჩნევა. მსოფლიოში მისი ალბომების 250 მილიონ ეგემპლარამდეა გაყიდული.

ანა ფრანკი (1929–1945)

„ყველაფრის მიუხედავად, მჯერა, რომ ადამიანებს კეთილი გული აქვთ“- წერს ანა ფრანკი. ის ჰოლანდიელი/ებრაელი მწერალია, რომლის დღიურები დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მოთხოვნად წიგნად იყიდება. 13 წლის გოგონას პირობაზე ანას აზრები გასაოცარი და გასაკვირია.

დედოფალი ელიზაბეტ II (1926–2022)

დედოფალი ელიზაბეტი ყველაზე ხანგრძლივვადიანი მონარქი იყო ბრიტანეთის ისტორიაში. ის ტახტზე 1952 წელს ავიდა. დედოფალი მოესწრო სწრაფ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს და, ასევე, ბრიტანეთის ერთა გაერთიანებას.

ვალენტინა ტერეშკოვა (1937–...)

პირველი ქალი-კოსმონავტი და საბჭოთა კავშირის გმირი. მისი სახელი მთვარის ერთ-ერთ კრატერს დაარქვეს.

ფრიდა კალო (1907–1954)

ფრიდა კალომ ხატვა დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი მძიმედ დაშავდა ავტოავარიის შედეგად. მოგვიანებით კალო გახდა პოლიტიკურად აქტიური და ასევე ნიჭიერი მხატვარი. მისი გარდაცვალების შემდეგ კალოს, როგორც მხატვრის, პოპულარობა გაიზარდა. მისი გამოსახულება და სტილი ძალიან ორიგინალური, დრამატული და მამაცი იყო. კალო იყო ერთადერთი ქალი, რომელმაც თავის ნამუშევრებში გამოხატა გრძნობების, ფუნქციების და შემოქმედობითობის ძალა. მართლაც, ფრიდას ჰქონდა თავისი ნახატების საშუალებით მსოფლიოსთვის ემოციების გადაცემის უნარი. ის იყო საოცარი ქალი, უნიკალური მხატვარი და სიძლიერის მაგალითი.

ქვემო ქედში სკვერები მოეწყობა

ქვემო ქედში აფხაზეთში დაღუპული გმირის, იგორ ცაბაურაშვილის სახელობის სკვერის კედლის რეაბილიტაცია დაიწყება. ამის შესახებ გადაწყვეტილება სოფლის საერთო კრებაზე ადგილობრივებმა მიიღეს. როგორც ქვემო ქედში მერის წარმომადგენელმა ალექსი დოჯურიშვილმა „შირაქს“ განუცხადა, მესერის აღდგენის გარდა სკვერიც კეთილმოეწყობა.



„წელს ქვემო ქედისთვის სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში 20 000 ლარია გათვალისწინებული. ცენტრში მდებარე ამ სკვერის გარდა, სოფლის შესასვლელში არსებული სკვერის კეთილმოწყობაც იგეგმება. აფხაზეთის გმირის სახელობის სკვერში კედელი რაც დანგრეულია, ის ნაწილი ხელახლა აშენდება, მესერის დანარჩენ ნაწილს რეაბილიტაცია ჩაუტარდება. შიგნით სივრცეში განათებები მოეწყობა და სკამები დამონტაჟდება. დარჩენილი თანხით კი სოფელს სანაგვე ურნები დაემატება,“ – აცხადებს ალექსი დოჯურიშვილი.

გმირის დედა **ეთერ ცაბაურაშვილი** 79 წლისაა. „შირაქთან“ საუბრისას ის ქვემო ქედელებს მადლობას უხდის, რადგან მისი შვილის სახელის უკვდავსაყოფად აღმართული მემორიალის ირგვლივ არსებული სკვერის კეთილმოწყობას მხარი დაუჭირეს.

„მადლობელი ვარ ჩემი სოფლის, ხალხის, გამგებლის, ყველასი... სამუშაოების დასრულებას დაველოდები და ყვავილების თაიგულით მივალ მემორიალზე. მიხარია, რომ ჩემი შვილი ისევ ახსოვთ. აფხაზეთის ომიდან ბევრი გამორბოდა, ჩემს შვილსაც ეუბნებოდნენ წავიდეთო, მაგრამ არ წამოსულა, ფრონტზე დარჩა და თავი გაწირა. ამიტომაც შემორჩა მისი სახელი. სოფელმაც მემორიალი გახსნა და მის სახელს არ ივიწყებენ. სკოლიდან ბავშვები მიჰყავთ და ღონისძიებებს ატარებენ, ხშირად იხსენებენ. უკვე 30 წელი სრულდება, რაც ჩემი შვილი ომში დაიღუპა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს 30 დღის წინ მოხდა. ბავშობიდან ძალიან მოწადინებული იყო სამხედრო სამსახურზე. მამაც ხელს უწყობდა. ვეუბნებოდით, სადაც გინდა იქ შეგიყვანთო, მაგრამ არა – ჯარი მინდაო!.. სამი ბიჭი მყავს, იგორი უმცროსი იყო. ჩემი შვილიშვილებიც ასე არიან, ყველამ სამხედრო სამსახური აირჩია. სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო ჯარში წავიდა, გაცილება გადავუხადე. იქიდან რომ დაბრუნდებოდა სამხედრო აკადემიაში სწავლას აპირებდა. ომში რომ წავიდა არ ვიცოდი, დამიმალეს. მეგონა სხვაგან იყო. რომ ჩამოასვენეს, მერე მითხრეს მისი გმირობის ამბავი. ძალიან კეთილი ბავშვი იყო, უყვარდა სოფელი, სამშობლო, თავისი ხალხი. სოფელსაც უყვარდა და ძალიან დააფასეს. ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი. ხელისუფლების მადლიერი ვარ, ბოლო წლებში ირაკლი ღარიბაშვილმა 44 ლარიანი პენსია 1000 ლარამდე გაზარდა და მეც ვიღებ. ვიცი, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში გმირთა მემორიალსაც რეაბილიტაცია უტარდება და იქაც არის ჩემი შვილის სახელი ამოტვიფრული. ჯერ იქ ნამყოფი არ ვარ, ძალიან მინდა იქაც მივიდე ყვავილებით და ვნახო“.



ქვემო ქედელი იგორ ცაბაურაშვილი 19 წლის ასაკში აფხაზეთში დაეცა. ის მედლით მხედრული მამაცობისთვის ედუარდ შევარდნაძემ დააჯილდოვა. ოფიციალური ცნობებით, ის ე.წ. შავნაბადას ბატალიონში ირიცხებოდა და ტამიშში იბრძოდა. შავნაბადას ბატალიონიდან 25 მებრძოლი დაეცა. კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველები წინააღმდეგობას უწევდნენ ზღვიდან გადმოსხმულ, რუსეთის დესანტს. დუშეთის ბატალიონმა, „მხედრიონმა“, „ავაზამ“, შავნაბადის ბატალიონმა თუ ზვიად გამსახურდიას მომხრე ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც ტამიშის დესანტის მოსაგერიებლად სამთავრობო შენაერთებთან ერთად იბრძოდა, 10-მდე უმძიმესი, სისხლისმღვრელი დღე გადაიტანა. ყველაფერი 1993 წლის 2 ივლისს დაიწყო. ქართველებმა გაანადგურეს ძირითადად რუსებით, ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულებითა და აფხაზი მებრძოლებით დაკომპლექტებული ძლიერი და კარგად მომზადებული დესანტი.

„ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღიდან, ოპერაციის დაწყების პირველივე საათებში, ლაბრას მიმართულებით დამხმარე ძალა გაიგზავნა, „ბეტეერი“, 2 ჯავშანმანქანა, ურალი და ერთიც მსუბუქი მანქანა. ჯავშანმანქანებმა შუა გზიდან ანუა-არქუს სიმაღლისკენ გადაუხვიეს, დანარჩენებმა კი განაგრძეს სვლა. ტამიშში, მტერს ფეხი ჰქონდა მოკიდებული, ჯერ „ბეტეერს“, შემდეგ კი ურალის სატვირთოსაც ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. „ბეტეერი“ დაზიანდა, ურალისგან კი თითქმის არაფერი დარჩა. სატვირთოზე შავნაბადას ბატალიონის 31 კაციანი ჯგუფი იმყოფებოდა, საიდანაც 24 კაცი ადგილზე დაიღუპა (2 დღემდე დაკარგულად ითვლებოდა). მეთაური და მძღოლი სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს. „რპგ“-დან ნასროლმა ჭურვმა, სალონში ჩაწეული გვერდითა საქარე მინიდან შეაღწია და მეორე ჩაწეული საქარე მინიდან გარეთ გამოაღწია. ტამიშის და ლაბრას დაკავების შემდეგ, მტრის სამიზნე სოფ. ქვემო კინდღი გახდა. შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის რვავე პოსტი ინტენსიურად დაიბომბა, რასაც მედესანტეებისა და ოჩამჩირის რაიონში მოქმედი საჯარისო ნაწილების შტურმი მოჰყვა“. - წერია ჩანაწერებში.

შავნაბადის ბატალიონის ერთ-ერთ განშტოებას იმხანად 25 წლის გიორგი თავდგირიძე ხელმძღვანელობდა. როგორც თავდგირიძე აღნიშნავს, ტამიშის ბრძოლების მნიშვნელოვანი გამარჯვება ქართულმა მხარემ სათავისოდ ვეღარ გამოიყენა, რადგან სახელმწიფო დანაკარგის შევსებას ვერ ახერხებდა.

როგორ მიმდინარეობს სკოლის დირექტორების შერჩევა?

დედოფლისწყაროში და მის სოფლებში მოქმედ ყველა საჯარო სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჰყავს. დირექტორებს სამუშაო ვადა დიდი ხანია ამოეწურათ. ახალი დირექტორების შერჩევის პროცესი კი საკმაო დაგვიანებით, გასული წლის ბოლოს დაიწყო. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, რამდენიმე კანდიდატი ისედაც ფლობს დირექტორის სერთიფიკატს, თუმცა მათი თანამდებობაზე არჩევაც გაჭიანურდა.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში „შირაქს“ უთხრეს, რომ 2016 წლიდან ეტაპობრივად რამდენიმე კანდიდატმა გაიარა დირექტორის სერტიფიცირება. დედოფლისწყაროში მხოლოდ 6 სკოლის დირექტორის მოვალეობის შემრულებელი ფლობს დირექტორის სერტიფიკატს, კიდევ ორმა ახლახან ჩატარებული გამოცდის შედეგად გადალახა ბარიერი.

მაკა ჯანაშვილი *(საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):* „დირექტორის გამოცდაზე გავიდა დირექტორების ის ნაწილი, რომელთაც არ ჰქონდათ სერტიფიკატები. ხოლო, ვისაც სერტიფიკატები უკვე ჰქონდა, მათ აღარ ეკუთვნოდათ გამოცდაზე გასვლა. ვინც გავიდა თითქმის ყველამ გადალახა ბარიერი, როგორც ვიცი, მხოლოდ ერთი კანდიდატი ჩაიჭრა. ამ ეტაპზე მხოლოდ გამოცდის შედეგები დაიდო. ოფიციალურად ჩვენთვის უცნობია სხვა დანარჩენი დეტალები. უახლოეს პერიოდში გაირკვევა დაზუსტებით ახალი კანდიდატების შესახებ. რესურსცენტრი ვერ ხედავს დარეგისტრირებული აპლიკანტის, თუნდაც მოქმედი დირექტორის მდგომარეობას ამ კუთხით. ჩვენთვის მოწვდილი ინფორმაციით წარმატებით გადალახა ბარიერი ხორნაბუჯის და ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებმა. იქნებოდნენ გარეშე პირებიც გასულები, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. შესაძლებელია მხოლოდ ორი სკოლა აღმოჩნდეს, სადაც არავის აქვს სერტიფიკატი. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ სკოლებიდანაც იყვნენ გამოცდაზე გასული მსურველები. ჯერ უნდა დაველოდოთ კიდევ სამინისტროს შემდგომ ნაბიჯებს, რათა ზუსტად ვისაუბროთ შემდეგ უკვე ფაქტებით. სერტიფიცირება ბოლოს 2016 წელს ჩატარდა, თუმცა ზოგიერთებს მანამდეც აქვთ მიღებული. ამჟამად 6 სერტიფიცირებული დირექტორი გვყვავს. არხილოსკალოს, ქალაქის პირველი და მეორე საჯარო სკოლა, მაჩხაანის, არბოშიკისა და გამარჯვების საჯარო სკოლების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს ისედაც ჰქონდათ სერტიფიკატი“.

ეთერ ოთარაშვილი *(ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლის დირექტორის მ/შ):* „ერთი ვადით კიდევ შემიძლია წარვადგინო საკუთარი კანდიდატურა, თუმცა ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი, ისევ მექნება თუ არა სურვილი. ამ ეტაპზე ვფიქრობ და სანამ ამისი დრო მოვა, ალბათ, გადავწყვეტ. ვნახოთ, შეიძლება გასაუბრება და ტრენინგები ჩვენთვისაც დაინიშნოს. 2013 წლის ოქტომბრიდან, 1 წლის განმავლობაში მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი. 2014 წელს კი სერტიფიკატი მოვიპოვე და იმავე წლის დეკემბრიდან დირექტორად ამირჩიეს. ბოლო ხანს 6 წლიანი ვადის ამოწურვის გამო მოვალეობის შემსრულებლად ვარ დანიშნული. დირექტორის სერტიფიცირების პროცესი კონფიდენციალურია, მაგრამ ამჯერად, როგორც ვიცი, ჩვენი სკოლიდან მხოლოდ ერთი პედაგოგი დარეგისტრირდა და როგორც მეუბნება, გამსვლელი ქულაც მოაგროვა. თუ მეც გადავწყვეტ მონაწილეობას, ამ შემთხვევაში ის ჩემი კონკურენტი გამოდის, მაგრამ მიხარია კოლეგის წარმატება და მივესალმები მის სერტიფიცირებას“.

არბოშიკის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მანანა ჭიღიტაშვილი** სკოლას 2007 წლიდან ხელმძღვანელობს, როგორც ის „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, მან დირექტორის სერტიფიკატი 2014 წელს მიიღო, რომელიც უვადოა.

„მანამდე სხვა გამოცდები მქონდა ჩაბარებული, რომელიც ერთი ვადით გვაძლევდა უფლებას, შემდეგ სერტიფიკატი მოვიპოვე და 2014-დან 2020 წლამდე დირექტორად ვიწოდებოდი, 6 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დავინიშნე. ახლა იგივე სკოლაში აღარ მაქვს უფლება კიდევ წარვადგინო ჩემი კანდიდატურა. თუმცა, სხვა სკოლებში წარდგენა ნამდვილად შემიძლია. ჯერ არ მიფიქრია, რომელ სკოლაზე შევაჩერებ არჩევანს. როგორც ვიცი, ჩვენი სკოლიდან მხოლოდ ერთმა, ისტორიის მასწავლებელმა ხათუნა მაძღარაშვილმა გაიარა დირექტორთა სერტიფიცირების პროცესი, მან მითხრა, რომ გადალახა ბარიერი. კონკურენცია კარგია,“ – აღნიშნავს ჭიღიტაშვილი.

ნინო სულიაშვილი-არაბული *(გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ):* „ვნახოთ, ალბათ, დავაპირებ კიდევ ერთხელ მივმართო სამეურვეო საბჭოს... 2014 წლიდან ვარ დანიშნული და ერთი ვადით კიდევ შემიძლია. ზუსტად ვერ გეტყვით, სურვილი, ალბათ, მექნება. საპენსიო ასაკამდე 2,5 წელი დამრჩა, დირექტორისთვის ასაკობრივი შეზღუდვა მოქმედებს და 65 წლის ასაკამდეა ზღვარი. თუ ისევ ამირჩევენ დირექტორად, მაშინ ასაკის შესრულებისთანავე მომიწევს საკუთარი განცხადებით შუა ვადაში დავტოვო თანამდებობა. დირექტორობა 6 წლიანია, მე კი მაქსიმალურ ასაკს ორწელიწადნახევარში მივაღწევ. ჩვენი სკოლიდან ერთი პედაგოგი იყო დარეგისტრირებული და ზღვარი გადალახა. ის ჩემი კონკურენტი იქნება, მაგრამ შეიძლება სხვა სკოლაში გადაანაწილონ, ან ჩემს ვადას დაელოდოს და შუა ვადაში დაინიშნოს. მე ნამდვილად არ მაქვს სხვა სოფლის სკოლაში წასვლის სურვილი. ყველა შემთხვევაში დავუდგები გვერდით. რა თქმა უნდა, დავეხმარები, არანაირი პრობლემა არ მაქვს“.

მაია ხუნაშვილი *(ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორის მ/შ):* „ჯერ არბოშიკის სკოლაში ვცდილობდი, სადაც სამეურვეო საბჭომ მხარი არ დამიჭირა, მოგვიანებით ზემო მაჩხაანში იყო ვაკანსია და სამეურვეო საბჭომ 2015 წელს ამირჩია. კიდევ ერთი ვადით შემიძლია ამავე სკოლაში დავრეგისტრირდე და ისევ აქ ვგეგმავ. ყველაზე რთულ პერიოდში მომიწია დირექტორობა, ჯერ ხანძარი, შემდეგ სკოლის დემონტაჟი, სამ სხვადასხვა შენობაში დროებით განთავსებული საკლასო ოთახები, ბევრი სირთულე გადავიტანე. კაბინეტში არ ვმჯდარვარ. ჩვენი სკოლიდან სამოქალაქო და დაწყებითების პედაგოგი ცდილობდა სერტიფიცირების მოპოვებას, თუმცა ჩაიჭრა. მაგრამ არბოშიკში ახლადსერტიფიცირებული კანდიდატი ზემო მაჩხაანში ცხოვრობს და შესაძლოა მანაც ამ სოფელში დაარეგისტრიროს კანდიდატურა. ვნახოთ რა იქნება. მე სხვა სკოლაში მუშაობაზე არ ვფიქრობ, რადგან აქ დიდი ენერგია ჩავდე, ყველა სირთულემ ჩემს მხრებზე გადაიარა“.

მაია სიმონიძე *(არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ):* „მე ჯერ ერთხელ ვიყავი დირექტორად არჩეული, 2014 წლის დეკემბერში, კიდევ ერთხელ მაქვს უფლება წარვადგინო საკუთარი კანდიდატურა და, რა თქმა უნდა, ვაპირებ. როდესაც ვაკანსია გამოცხადდება, სურვილი მაქვს ისევ იგივე სკოლაში ვიმუშაო და იმედი მაქვს, სამეურვეო საბჭოც მხარს დამიჭერს. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ჩვენი სკოლიდან არცერთ პედაგოგს არ მიუღია დირექტორთა სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა და კონკურენტი ამ ეტაპზე არ ჩანს.“

ბიოლოგიის პედაგოგი სოფელ გამარჯვებიდან **მაია პოპიაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ დირექტორთა შესარჩევ გამოცდაზე 54 ქულა მიიღო, რითაც უფლება მოიპოვა გამარჯვების სკოლის დირექტორის პოზიცია დაიკავოს.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლიდან **თამარ ქეთელაურმა** 61 ქულა მოაგროვა. ის მათემატიკის პედაგოგია და გასული წლის ივნისიდან ხორნაბუჯის სკოლის დირექტორის მოვალეობას უკვე ასრულებს. თუმცა, იმისათვის, რომ დირექტორის პოზიცია ოფიციალურად დაეკავებინა, ამ გამოცდის ჩაბარება იყო საჭირო.

„თუ გასაუბრებაც წარმატებით გავიარე, ისევ ჩემს სკოლას მივუთითებ. თუ კონკურენტი იქნება, ეს კარგია. სამეურვეო საბჭოს მეტი საშუალება ექნება უკეთესი აარჩიოს. ყველას წარმატებას ვუსურვებ,“ - აღნიშნავს ქეთელაური.

ოზაანის სკოლის დირექტორის მ/შ **ნინო მეხრიშვილი** ამბობს, რომ თვითონ არ გასულა სასერტიფიციო გამოცდაზე და არც სხვა პედაგოგი დარეგისტრირებულა მათი სკოლიდან.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

პოეტესები ქალთა კვირეულს ხსნიან...

ბაირონმა თქვა: „ღამე ბრწყინვალებას აძლევს ვარსკვლავებს და ქალს“. სწორედ ქალების, ბრწყინვალებით შემოსული ქმნილებებისადმი მიძღვნილი კვირეულის გახსნას უმასპინძლა 6 მარტს დედოფლისწყაროს ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ.

დამსწრე საზოგადოებას შესავალი სიტყვით, დედოფლისწყაროს ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა **მანანა მაჭარაშვილმა** მიმართა : „მოგილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესასწაულებს. იყავით მუდამ ლამაზები, ბედნიერები და სასურველები. ქართული პოეტური საგანძურის შემხედვარე მე თავს ვერ მივცემ უფლებას, მხოლოდ ჩემი სიტყვებით მოგესალმოთ. ამიტომ, რეზო ამაშუკელს დავესესხები:

„თოვს, მარტმა ამინდი არია.
შენ გავხარ ღვთისმშობელს –მარიამს!
არ გინდა, არც რა სამკაული, გუნდა-ლახუსტაკი
და უმარილი, შენა ხარ ჰატარა სასწაული
ციდან ჩამოსული სტუმარივით.
შენს თმებს ველური ვარდისა და
მთის თაფლის ნაზი სურნელი აქვს,
ცოტა შეიფერთხე დარდისაგან,
მაგაშიც ეშხი ურევია!..
თოვს... ხანდახან წვიმას გამოურევს,
მარტი გიყია და სულელია,
ადამიანს დარდს რა გამოულევს,
ჯაუათმეოფს დარდი ულევი აქვს!..
თოვს, თოვს...“

დღეს ჩვენ ლექსები არ მოგვაკლდება, მაგრამ გადავწყვიტეთ, დღევანდელი ჩვენი ღონისძიების ფორმატიდან გამომდინარე, ეს დღე ქალ პოეტებს მივუძღვნათ. ისინი უფრო მხატვრულად გვეტყვიან სათქმელს. მე მუდამ მიკვირს სტრიქონთა თამაში, ყველა პოეტი ბრძენი მგონია. მაგრამ, მანდილოსანი მამაკაცისთვის მაინც სხვა ფენომენია. იოსებ გრიშაშვილის სიტყვებით გეტყვით:

„ო, შეხამება სხვადასხვა ფერთა
ჰოეზიისთვის არის მისწრება.
ნეტავი ერთხელ ჩვენც შეგვაერთა
საათის ედაზე შეკრულ ისრებად.
მინდა გფარავდე, მინდა მფარავდე,
ერთად ვიაროთ განუერელ წვეილად.
მე შენს საეურეს კოცნას ვჰარავდე,
შენ ჩემს ლოყაზე გეძინოს ტკბილად.
მსურს ერთად ვიეოთ შენაფიცარი,
როგორც ეკავილზე სუნთქვა ნამისა,
როგორც საათის ორი ისარი
შუადღისას და შუაღამისას.“

პოეტები საქართველოში მუდამ დიდი აღიარებითა და დაფასებით სარგებლობდნენ, მაგრამ პოეტესები ქალური კდემამოსილებით არიან აღვსილნი და იმსახურებენ ხალხის სიყვარულს. ლექსად თქმული აზრი გაფრენილ ორბს ჰგავს და მინდა აღვნიშნო, რომ ქალები არანაკლებ ადიდებენ ამას. მრავალი პოეტი ქალი ამშვენებს პოეტურ ტახტრევანს და არც გვიკვირს. რადგან ქალი თუ დედაა, ყოვლისშემძლეა, თავის შვილებისთვის, ოჯახისთვის და სამშობლისთვისაც. ლექსები ზოგჯერ სიმღერებად იქცევა და ადამიანის სულს მალამოდ ეცხება. ბიბილიოთეკა ცდილობს ახალგაზრდობა აზიაროს ქართულ შემოქმედებას და დღეს ჩვენი ბავშვები ცნობილი პოეტების ლექსებით მოგვესალმებიან.“

ეს ბავშვები კი იყვნენ: აბულაშვილი ნატალია - პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე, შოთა ნიშნიანიძის ლექსით „უსათაურო“, ხოსიტაშვილი ნიკოლოზი პირველი საჯარო სკოლა - ლექსით „დედა“ (გიორგი წერეთელი), ბენაშვილი სალომე - მეორე საჯარო სკოლა, „საგალობელი“, (მედეა კახაძე);

ქალთა დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ ქალბატონები - **თამარ ნასრაშვილი** და **ლია ალადაშვილი**. მათ ამ დღესთან დაკავშირებით ისაუბრეს თავიანთი პოეტური ნიმუშებით. მანანა მაჭარაშვილმა თავადაც გაიხსენა ამ პოეტესების ორიოდ სტრიქონი და შემდეგომ ასპარეზი მათ დაუთმო:

„რად მინდა დიდება სხვაგვარი,
რას ელი რა უნდა მოხდეს,
მსურს ლექსის ავაგო ტაძარი,
მერე იმ ტაძარში მოვკვდე“.

მანანა მაჭარაშვილმა პირველად სიტყვა ყოფილ კოლეგას, ყოფილ თანამშრომელს **თამარ ნასრაშვილს** გადასცა. თამარ ნასრაშვილი დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში 1963 წლის 23 ოქტომბერს. მისი სულიერი მოთხოვნილება ქრისტეს სამსახურია. რამდენიმე ათეული წელი ქრისტეს მოძღვრებას ასწავლიდა საჯარო სკოლებში. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილი - ანდრია: „მეგობრებო, მოგილოცავთ გაზაფხულს, ქალთა დღესასწაულებს. საუკეთესო დღეებსა და ცხოვრებას გისურვებთ. მინდა განსაკუთრებულად მივესალმო და მივულოცო გაზაფხული, დედა სერაფიმას - რომელიც ყველას დედაა. რომ გადავხედე ჩემს ლექსებს, გადავწყვიტე თემატურად გაზაფხულის ლექსები ამომერჩია. ახალი ლექსი მინდა შემოგთავაზოთ, რომელსაც „ჰეი, მორფიუს“ ჰქვია. მორფიუსი სიზმრის ღმერთია და მას მივუძღვენი ეს სტრიქონები:

„ეოველ ღამ მე შენს კარებთან ვდგავარ, და ეოველი დღე იწყება შენით,
მე ამ კარიდან ზეცაში გავალ, ზეცაში გავალ სულ ფრენა ფრენით,
მე შენს სამეფოს ბინადრად შევრჩი, დიდი ხნით ვცხოვრობ, ვით სიზმარ-ცხადი,
ჰეი, მორფიუს მიდგახარ გვერდში გადამარჩინე შეურაცხადი...
ჰეი, მორფიუს გეწვიო მინდა, შენს სამფლობე ზესიზმარეთში,
ცა გამჯვირვალე, ეველაზე წმინდა, უნდა ვიხილო მე შენს თვალებში.
და დავივანო, ჰეი, მორფიუს“...

აბმის ხე

„ეოველ ღამ მე შენს კარებთან ვდგავარ, და ეოველი დღე იწყება შენით,
მე ამ კარიდან ზეცაში გავალ, ზეცაში გავალ სულ ფრენა ფრენით,
მე შენს სამეფოს ბინადრად შევრჩი, დიდი ხნით ვცხოვრობ, ვით სიზმარ-ცხადი,
ჰეი, მორფიუს მიდგახარ გვერდში გადამარჩინე შეურაცხადი...
ჰეი, მორფიუს გეწვიო მინდა, შენს სამფლობე ზესიზმარეთში,
ცა გამჯვირვალე, ეველაზე წმინდა, უნდა ვიხილო მე შენს თვალებში.
და დავივანო, ჰეი, მორფიუს“...

აბმის ხე

ვალერი რამაზანაშვილი – ჩემპიონის დაბადება

დასრულდა ორთაბრძოლა პროფესიონალურ კრივში, სადაც დედოფლისწყაროს გუნდი „ჩემპიონი“-ს სპორტსმენმა ვალერი რამაზანაშვილმა ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მოიპოვა. უნდა აღინიშნოს რომ, ვალერიმ ბოლო სამი ორთაბრძოლიდან სამივე ნოკაუტით, ვადაზე ადრე დაასრულა. ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო პროფესიონალი მოკრივეები ერთმანეთს სარეიტინგო ბრძოლებში ერკინებოდნენ. დედოფლისწყაროელი ვალერი რამაზანაშვილი ხვთისო თითიბერიას შეხვდა.

როგორც გუნდის მწვრთნელმა თამაზ ყარაგვეზაშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ვალერი რამაზანაშვილის სახით ახალი ჩემპიონი იბადება.

„ვალერი უფროს ასაკობრივ კატეგორიაში გადავიდა და პროფესიონალურ კრივში პირველ ნაბიჯებს დგამს. საბედნიეროდ, უკვე წარმატებით. ვფიქრობ, თანდათან „გავიზრდებით“, ნათქვამია, „რკინა წრთობაში ფოლადდებაო“. ვიმედოვნებ, ვალერიც ისევე ბოლომდე გამომყვება, როგორც წინა თაობის ბიჭები... რინგის წესები მკაცრია, (როგორც ცხოვრების) შეცდომებს არ პატიობს. დანარჩენს დრო გვიჩვენებს “ - აღნიშნავს მწვრთნელი.

ვალერი რამაზანაშვილი: „ძალიან კარგი ბრძოლა იყო, რადგან არ მოველოდი მისგან ასეთ ამტანობას. წინააღმდეგობას კარგად იტანდა, რაც ჩემზე ძალიან მოქმედებდა. გამოცდილი მოკრივე იყო, ასაკით უფროსი, რაც მოქმედებდა ყველაფერზე. ბევრ ძლიერ დარტყმას გაუძლო, რამაც ჩემში დიდი გაოცება გამოიწვია, მაგრამ მოვახერხე, დრო და მომენტი სწორედ შევარჩიე და გავტეხე. თავი ხელში ავიყვანე, არ მივეცი უფლება რომ ჩემს სიბრაზეს ეკონტროლებინა ჩემი თავი და შედეგმა არ დააყოვნა. მივიღე რამდენიმე დარტყმა, რამაც გამომაფხიზლა და მომცა სტიმული, ამომეხსნა ეს ამოცანა ჩემს მწვრთნელ თამაზ ყარაგვეზაშვილთან, ლევან წიკლაურთან და ნიკოლოზ თარალაშვილთან ერთად. სწორედ ეს ადამიანები მაძლევენ საშუალებას, რომ არ დავნებდე და ვიბრძოლო. მადლობა „შირაქს“ დაინტერესებისათვის და მუდმივი მხარდაჭერისთვის.“

„ოქროს დიპლომი“ პატარა დეკლამატორს

ზემო ქედში მცხოვრებ 10 წლის გიორგი ქენქაძეს, რომელმაც გასულ წელს საკუთარი მოთხრობების კრებული გამოსცა, შოთა რუსთაველის სახელობის მწერალთა, პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირმა „ოქროს დიპლომი“ გადასცა და „საუკეთესო დეკლამატორის“ წოდება მიანიჭა. ცერემონია თბილისში, ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში შედგა.

„როდესაც გამოსვლა მაქვს, ღამე ვერ ვიძინებ, მოუთმენლად ველოდები გათენებას, მინდა დრო სწრაფად გავიდეს, კახეთიდან ჩავიდე და შევუერთდე ადამიანებს, რომლებიც ვიცი, ყოველთვის მელოდებიან და უხარიათ ჩემი იქ ყოფნა. არაერთი დიპლომი და სიგელი მაქვს მიღებული, მაგრამ ახლა გადმომეცა ორენოვანი დიპლომი, როგორც საუკეთესო დეკლამატორს. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. სიხარულისაგან ისე დავიბენი, ძალიან ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ სიტყვები ვერ ვიპოვე. ეს ჩემთვის უდიდესი ნდობა და პასუხისმგებლობაა. დიდი მადლობა ორგანიზატორებს, ჩემზე დამყარებულ იმედებს არასოდეს გაგიცრუებთ და შევეცდები კიდევ უფრო უკეთესი ვიყო,“ – აღნიშნა გიორგი ქენქაძემ.



გიორგი სხვა ავტორების მიერ დაწერილ ლექსებსაც იმდენად ემოციურად და კარგად კითხულობს, რომ სოციალურ ქსელსა თუ სხვადასხვა შემოქმედებით საღამოებზე მაყურებლის ყურადღებას უმალ იპყრობს. მისი მოთხრობები „შირაქის“ ფურცლებზე გასული წლის ზაფხულში დაიბეჭდა.

რა მნიშვნელობა აქვს ველურ ბუნებას?

ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში მოქმედ სამოქალაქო კლუბ „ხორნაბუჯისა“ და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ კიდევ ერთი პროექტი განხორციელდა. ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძება ჩატარდა.

„ველური ბუნება - რა როლი აქვს მას და რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ“ - სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა ჭაჭუნის აღკვეთილის რესურსების მართვის სპეციალისტმა ქ-ნ ნათია ზურაშვილმა კლუბის წევრებთან. მან მოსწავლეებს გააცნო დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ტრენინგის დასრულების შემდეგ მოზარდები ეწვივნენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მუზეუმს, სადაც ადგილზე გაეცნენ ველური ბუნების ნიშან-თვისებებს. მოეწყო ნახატების კონკურსი ამ დღესთან დაკავშირებით.

ვარლამ ტატუნაშვილის პოეზია

ვარლამ ტატუნაშვილი ერთ-ერთი შთამომავალია იმ მთიელებისა, კერძოდ კი ქსნის ხეობისა, რომელიც სამწუხაროდ, დღეისათვის ოკუპირებულია. ამიტომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ის ლამაზი ადგილები, სადაც თავად დაიბადა და გაიზარდა. ვარლამი ერთხანს თბილისში დასახლდა, შემდეგ კი საცხოვრებლად ჩამოვიდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში და დღეს უკვე ამ სოფლის მკვიდრია. იგი წერს ლექსებს საქართველოზე, მეგობრობაზე, თავის სოფელსა და ქსნის ლამაზ ხეობაზე-ერთი სიტყვით, მისი შემოქმედება მრავალფეროვანია.



ვარლამ ტატუნაშვილი *„ქსნელი“.*

მაყვალა წიკლაური

* * *

ყანჩავეთი ჩემი სოფელი

ყანჩავეთის მთას შეხედავთ,
იტყვით რა სანატრელია,
გადაჭიმულა კლდის თავზე,
ძირს მოსჩანს ტყე და ველია.
სალოცავებში ჩაფლული,
ჩემი ლამაზი სოფელი.
ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში
ბიჭები მარად მყოფელნი.
მრავლის არს მოქმელი ტაძარი,
მრავალჯერ აღდგენილია,
მტრის ხელით ნაიარევი
კედლებზე დარჩენილია.
მიყვარს მე ჩემი სამშობლო,
როგორც ჩიტს, თავის ბუდეა.
კარგს თუ გავიგებ მიხარის,
მწყინს თუ გავიგე ცუდია.
ბალღობის წლებსა ვნატრულობ,
სადაც დამიდგამს ფეხია,
სად ანი-ბანი ვისწავლე,
და ის პირველი მერხია.
სადაც არ უნდა წავიდე,
შენს სიყვარულზე ვმღერივარ,
ცოცხალიცა და მკვდარიცა
ჩემო სოფელო შენი ვარ.

ქსნის ხეობას

კიდევ, ერთხელ დამიღამდა შენზედ ფიქრში,
კიდევ ერთხელ დაიბუდა დარდმა გულში,
ეს სპეტაკი ქსნის ხეობაც დაიკარგა,
კიდევ ერთხელ ჩაგვაფურთხა მტერმა სულში.
დაიცალა ქსნის ხეობის მთა და ბარი
მარტოდ დარჩნენ წინაპართა საფლავები,
ნადირის ხმა თუ დაარღვევს მთის სიჩუმეს,
აქა-იქა თუ იკვლება საკლავები.
ფრინველიც კი გადაშენდა ხეობიდან,
ძველებურად ხარ-ირემიც აღარ ყვირის,
მთების ექოც დადუმდა და განმარტოვდა,
და სოფელში მამალიც კი აღარ ყივის.
ყველა სოფლის ეზო-ყურე აბალახდა,
გაველურდა იშვიათი ვაზის ჯიში
უპატრონოდ საკეტს ჟანგი მოეკიდა
წაქცეულა ხის ბაგიდა კაკლის ძირში.
ამ ხის ჩრდილში მამა-პაპა ქეიფობდა,
წინაპართა ძვლებს ლოცავენ სამარეში
მომავლის გზას ულოცავენ შვილის შვილებს
რომ ეცხოვრათ ქსნის ხეობის საგანეში.
ვლოცულობ და სადღეგრძელოს შენსასა ვსვამ,
მენატრება სამყინაროს ცივი წყალი
ჩემს ხეობის მიწას გულში ჩავიხუტებ,
თუ დავბრუნდი და ვიქნი მე ცოცხალი.

ვარლამ ტატუნაშვილი *„ქსნელი“.*

შპს გაზეთი „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლე ტარიელს, შვილებს: ნატო, ნონა, ნათია ნატროშვილებს მეუღლის, დედის

მზია სეხნიაშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის გამორჩეული წევრი, ქველმოქმედი, საუკეთესო მწიგნობარი

მზია სეხნიაშვილ-ნატროშვილი

ასოციაცია სამძიმარს უცხადებს მეუღლე ტარიელს, შვილებს: ნატო, ნონა, ნათია ნატროშვილების ოჯახებს.

„იბრძოლეთ საკუთარი ბედნიერებისთვის“

პროფესიის არჩევა რთული და მრავალმხრივი პროცესია. მასზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს. ის უმეტესწილად განსაზღვრავს ჩვენი მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითად მიმართულებას. პროფესიის არჩევა განსაკუთრებით რთულია მაშინ, როდესაც საქმე ქალებს და მათ მომავალ პროფესიას ეხება.

თითოეულ ასაკობრივ საფეხურზე ყალიბდება ახალი „ფსიქოლოგიური წარმონაქმნები“, რომლებიც ცვლიან პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურასა და დამოკიდებულებას საკუთარი თავისა თუ სამყაროსადმი. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ძნელად თუ წარმოიდგენდით ქალს ამა თუ იმ, მისთვის უჩვეულო პროფესიულ როლში. მაშინ არ არსებობდა არც ქალი-ზეინკალი, არც ასფალტის დამგები ქალი და არც ქალი-ეკონომისტი. მიუხედავად ამისა, სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქალთა ემანსიპაცია (უფლებების გათანაბრება) აქტიურად დაიწყო, რომელიც დღეს აქტიურ ფაზაშია. ქალებს უკვე აღარ სურთ შინ ჯდომა ან მარტივი სამუშაოს შესრულება. ისინი აქტიურად ითვისებენ სხვადასხვა პროფესიას და ტოლსაც კი არ უდებენ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. **თამარ ყანჩაშვილმა**, დროთა განმავლობაში სცადა ყოფილიყო ინფორმატიკისა და მართვის, ხარისხის აუდიტის სპეციალისტი, სცადა ყოფილიყო საქმეთა მწარმოებელი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი, მაგრამ მისთვის საყვარელი და ძირითადი საქმიანობა უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ იპოვნა. გადაწყვეტილებას გამხდარიყო ბუღალტერი და დახმარებოდა სხვას ფინანსური საკითხების მოგვარებაში, ერთ-ერთ ყველაზე კარგ და სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნია და ამით ბედნიერიცაა. აკეთო საყვარელი საქმე და ამისგან სიამოვნებაც მიიღო, პროფესიული წარმატების ქვაკუთხედად ესახება.

„მე ვარ **თამარ ყანჩაშვილი,** დავიბადე 1989 წლის 4 მაისს, ქალაქ რუსთავში და დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში აქვე ვიზრდებოდი. ბაღში უკვე დედოფლისწყაროში, კერძოდ სოფელ არბოშიკში შემიყვანეს. აქედან მოყოლებული მთელი ჩემი ბიოგრაფია ზრდასრულობამდე დედოფლილისწყაროს და არბოშიკს უკავშირდება. საჯარო სკოლაც აქ დავამთავრე. არ ვიქნები გულახდილი თუ გეტყვით, რომ ჩამოყალიბებული ვიყავი პროფესიული კუთხით რა მინდოდა მეკეთებინა. როდესაც გამოცდებს ვაბარებდი, მაშინ ახალი შემოსული იყო უნარების გამოცდა, საგამოცდო სისტემა ახლად იდგამდა ფეხს, შესაბამისად, არ გვქონდა წარმოდგენა რა, როგორ ხდებოდა. ამიტომ სულ ეკონომიკის განხრით ჩავწერე ფაკულტეტები. მოვხვდი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ინფორმატიკისა და მართვის მიმართულებით. თავისუფალ დროს, თუკი ასეთი გამომიჩნდება, ძირითადად ჯანსაღი ცხოვრების წესს ვუთმობ: დავდივარ ცურვაზე, ვვარჯიშობ, გარდა ამისა ვნახულობ მეგობრებს, დავდივარ თეატრსა და კინოში. მიყვარს მოგზაურობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

-რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დროთა განმავლობაში პროფესია რადიკალურად შეიცვალე. საკუთარი ბუღალტრული კომპანია დაარსე (მეგობართან ერთად) და დღეს სრულიად სხვა მიმართულებით გაქვს კარიერა. რატომ?

დიახ, დროთა განმავლობაში, გარემო ფაქტორებიდან და შრომის ბაზრიდან გამომდინარე პროფესია შევიცვალე. ჩემი ფაკულტეტი იყო ინფორმატიკა და მართვა, მაგრამ პროფესიით ვარ პროდუქციის ხარისხის აუდიტი მარკეტინგის სისტემებში. იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ამ კუთხით არაფერი ფუნქციონირებდა, ჩემი პროფესიით ვერ ვნახე სამსახური. არც არსებობდა ისეთი სფერო, სადაც პრაქტიკების გავლა შეგვეძლო. არცერთ ქარხანას არ გამოუთქვამს მზაობა, რომ შევსულიყავით შიგნით, გვენახა შიდა სამზარეულო და მაგალითად, თუნდაც ვადების კუთხით მაინც შეგვემოწმებინა პროდუქცია. აქედან გამომდინარე, ბევრ სხვადასხვა ადგილას მომიწია მუშაობა, სხვადასხვა განხრით. დროთა განმავლობაში, გადავწყვიტე, უფრო მეტად გამოსადეგი პროფესია შემეძინა. ჩავბარე **ACCA**-ში, იგივე პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტში, ორი წლის განმავლობაში გავიარე ორი კურსი, რის შედეგადაც გავხდი სერტიფიცირებული ბუღალტერი. სწავლის პარალელურად, მე და ჩემმა მეგობარმა დავაარსეთ ბუღალტრული კომპანია „MAC – MY ACCOUNTING COMPANY“ — „ჩემი ბუღალტრული კომპანია“ და ჩვენივე ძალებით მოვიძიეთ მომხმარებლები/კლიენტები, ის კონტიგენტი, ვისთანაც უნდა გვემუშავა. დავიწყეთ, ორი-სამი კლიენტით და ამჟამად, 20-მდე მომხარებელი გვყავს. ადგილობრივთან ერთად, ჩვენ უცხოელებთანაც ვმუშაობთ, რადგან საქართველოში ბევრი არარეზიდენტი პირია, ვიტყოდი საკმაოდ ბევრიც კი.

-რამდენად რთული იყო შენს შემთხვევაში პროფესიული თვითგამორკვევის პროცესი?

ამ გამორკვევაში განსაკუთრებული როლი, პროფესიის რაობამაც ითამაშა. ეს ისეთი პროფესიაა, რომელიც ხელს არ გიშლის პარალელურად სხვა საქმითაც დაკავდე. იმუშავო თუნდაც დინსტანციურად, ადგილზე მისვლა არ დაგჭირდეს. ეს იყო დიდი კომფორტი, როდესაც სახლიდან შემეძლო საქმის კეთება. ჩემს შემთხვევაში, სხვა სამსახურშიც ვმუშაობდი, და ამის პარალელურად ვაკეთებდი ბუღალტერიას. რადგან ძირითად საქმიანობად ეს იქცა, გადავწყვიტე უფრო მეტად გამეღრმავებინა ჩემი ცოდნა და უნარები. ეს არის უწყვეტი პროცესი, ცხოვრებას თუ გინდა ფეხი აუწყო, მუდმივად უნდა შეგეძლოს თვითგანვითარება. ეს ის პროფესიაა, რომელიც მუდმივად იცვლება და შენც ფეხი უნდა აუწყო სიახლეებს. თვითგამორკვევის პროცესში იმანაც შემიწყო ხელი, რომ სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად კეთდებოდა. მომწონდა და მიყვარდა ის საქმე, რასაც ვაკეთებდი, დღემდე ასე ვარ. გამორკვევის პროცესში ლავირების უნარმაც შემიწყო, ალბათ, ხელი, რადგან რომელ საქმესაც უნდა შევეჭიდო, აუცილებლად ბოლომდე მივიყვან და მიზნამდე მივაღწევ. არ გამოვრიცხავ, რომ სხვა პროფესიითაც დავინტერესდე. ამის უამრავი მცდელობა მქონდა და მაქვს. მაგალითად, მინდა დაევეუფლო ბარისტას (ყავის მომზადების სპეციალისტი) პროფესიას. ამ საქმემ იმიტომ დამაინტერესა, რომ შემიძლია ხალხთან კომუნიკაცია. თანაც ამ სფეროშიც მაქვს გამოცდილება (ვმუშაობდი კაფე-რესტორანში). არსებობს იმის შანსი, რომ მქონდეს დამატებით სხვა ბიზნესიც, საკუთარი, სადაც თვითონ მივიღებ ყველაფერში მონაწილეობას. ეს პროცესიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

-სულ მალე აბიტურიენტებს მოუწევთ არჩევანის გაკეთება თუ სად უნდათ ჩაბარება და რა პროფესიას სურთ რომ დაეუფლონ. რას ურჩევი აბიტურიენტებს? როგორ აირჩიონ მომავალი პროფესია?

აბიტურიენტებს ერთ რამეს ვურჩევდი: მე რომ ჩემს დროში დავბრუნდე, პროფესიულ სასწავლებელში, რაიმე ხელსაქმეს ვისწავლიდი, ვიდრე უნივერსიტეტში ჩავაბარებდი. მითუმეტეს მაშინ, თუ არ იცი რა გინდა, ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს ხოლმე უნივერსიტეტი. სჯობს, კონკრეტული პროფესია გქონდეს და შემდგომ სხვა პროფესიებშიც განვითარდე, ვიდრე ამდენი წელი იარო, ტყუილად დახარჯო დრო, ენერგია და რესურსი, და საბოლოოდ არაფერი გამოვიდეს. საკუთარ ხმას და შინაგან მეს უნდა დაუჯერონ და ის პროფესია აირჩიონ, რომელიც მათ სურთ. იმიტომ რომ იმის კეთება, რაც არ გსიამოვნებს, ადამიანს უბედურს გხდის.

-ერთ-ერთი ხშირი შეცდომა რასაც ადამიანები უშვებენ არის სწორედ განწყობა — სადაც მიმიღებენ, იქ ვისწავლი! სწორედ ამ მიდგომას მივყავართ შემდგომ ძალიან სევდიან სტატისტიკამდე: ადამიანების უმრავლესობა არ მუშაობს არჩეული პროფესიით. ბერნარდ შოუს აქვს ასეთი გამონათქვამი: „ეცადე მიიღო ის, რაც გიყვარს, სხვა შემთხვევაში მოგიწევს შეიყვარო ის, რაც მიიღე! “. ეთანხმები თუ არა ამ აზრს? რა გამოცდილება მოგცა პროფესიის რადიკალურად შეცვლამ?

აბსოლუტურად ვეთანხმები. მივიღე ის პროფესია, რომელიც შემიყვარდა და ვფიქრობ, რეალიზებული ვარ ამ საქმეში. რაც შეეხება გამოცდილებას, გამოცდილება ნამდვილად სხვა იყო, რადგან რადიკალურად განსხვავებული საქმის კეთება დავიწყე. ბოლომდე ვიყავი ჩართული პროფესიის შესწავლაში. ამას მოჰყვა ისიც, რომ სხვა უნარების განვითარებაც ავტომატურად დამჭირდა. ეს იყო უცხო ენის ცოდნა. ინგლისურის ენის გაღრმავება დამჭირდა. უცხოელ მომხმარებელთან კომუნიკაცია, ფაქტობრივად, სხვა გზით შეუძლებელი იყო და არის. გამოცდილება ნამდვილად დიდია - ერთი ის, რომ ახალი პროფესია შევიძინე, მეორე უცხო ენას დავეუფლე უფრო სიღრმისეულად, მესამე - იმას ვაკეთებდი, რაც მომწონდა. ვფიქრობ, კარგი გადაწყვეტილება მივიღე და გამოცდილებაც საკმაოდ დიდი დავაგროვე ამ კუთხით.

- ბუღალტერი და მათემატიკური აზროვნება... რამდენად შეუძლია ადამიანს ვისაც არ აქვს მათემატიკური აზროვნება, ამ პროფესიას დაეუფლოს და განვითარდეს?

ასეთი შემთხვევები, მინდა გითხრათ, რომ ძალიან იშვიათია, მე პირადად არ შემხვედრია. ნებისმიერი ბუღალტრისთვის სავალდებულო თუ არა, სასურველია მათემატიკური აზროვნების არსებობა. ეს პროფესია ასევე მოითხოვს მუდმივ მზადყოფნას, რადგან დოკუმენტებთან მუშაობა მოითხოვს კონცენტრაციას და სიმშვიდეს. გარდა ამისა, ის მოითხოვს მოთმინების უნარს. მათემატიკურ აზროვნებასთან, რა თქმა უნდა, ეს პროფესია დაკავშირებულია, მაგრამ ადამიანის ბუნებასაც არანაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუ მოწოდებით არ ხარ, კარგი სპეციალისტი ვერ გახდები. ყველა ბუღალტერი ვერ იქნება. რაც უფრო ლმობიერი და დამთმობი ადამიანი ხარ, უფრო ძნელია ბუღალტრად ჩამოყალიბება. პროფესიით შეიძლება იურისტი, ისტორიკოსი იყო, მაგრამ ბუნებით ისეთი ადამიანი აღმოჩნდე, რომ პარალელურად ბუღალტერიაც გამოგივიდეს, ამ სფეროსაც კარგად მოერგო. ადამიანის ტიპიც მოქმედებს პროფესიაზე. მაგალითად, შეიძლება, რომ ქოლერიკებს, იმპულსურ და ფეთქებად ადამიანებს, არ მოეწონოთ ბუღალტრის რთული და შრომატევადი სამუშაო, რომელიც სიმშვიდეს მოითხოვს.

-ბუღალტერს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ამაზე რას გვეტყვი?

ყველანაირი კომპანიის, დაწესებულებისა თუ ფირმის ღერძი არის ბუღალტერი. ბუღალტერზე არის აგებული მთელი სისტემა. დირექტორი ვერაფერს იზამს, თუ ბუღალტერმა არ მისცა სწორი მიმართულება. ბუღალტერსა და ფინანსურ მრჩეველს შორისაც დიდი განსხვავებაა. ორგანიზაცია 90%-ით მაინც ბუღალტერზეა დამოკიდებული. ის განაგებს ფინანსებს, ის უყურებს ყველანაირ ხარჯს, შემოსავალს და ა.შ. შესაბამისად, მან უკეთ იცის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს, (რა თქმა უნდა, დირექტორიც უნდა ჩახედული იყოს,) და საით მიმართოს ესა თუ ის კონკრეტული ფინანსი, ვიდრე დირექტორმა. ხშირ შემთხვევაში დირექტორებმა უფრო არ იციან, ჩახედულები არ არიან, იმიტომ რომ ან ბუღალტრისგან არ მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია, ან მიეწოდებათ, მაგრამ თვითონ დირექტორები არ არიან ამ სფეროში კარგად ჩახედულები, რომ გაიგონ და სწორად გაანალიზონ არსებული ინფორმაცია. პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და საკუთარი საქმის სიყვარული აყალიბებს ბუღალტერს პროფესიონალად. თვითონ ბუღალტერმა უნდა გაითავისოს, რომ მასზეა პასუხისმგებლობა, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც მიიღება ძირითადი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, დირექტორზეც გადადის ეს პასუხისმგებლობა, თუმცა, ლომის წვლილი ნამდვილად ბუღალტრებზე მოდის. აქ ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დირექტორი რამხელა უფლება-მოვალეობასაც მისცემს, იმდენად პასუხისმგებელია ბუღალტერი.

-რა თვისებები უნდა ჰქონდეს ამ სპეციალისტს?

უნდა იყოს მებრძოლი, შეუპოვარი და არ უნდა დანებდეს მარტივად. პასუხისმგებლობის, სტრესთან ბრძოლის უნარი, კომუნიკაბელურობა, პრაგმატიზმი.

- ამ სპეციალობის დადებითი და უარყოფითი მხარეები რა შეგიძლია, რომ გვითხრა?

დადებითი მხარეები ჩემს შემთხვევაში არის ის, რომ შემიძლია დისტანციურად მუშაობა, შემიძლია რამდენიმე კომპანიას მოვერგო, სამუშაო დროის გრაფიკი თვითონ განვსაზღვრო, უნარების მუდმივი განვითარება და გაუმჯობესება. უარყოფითი მხარეები შეიძლება იყოს: ურჩ დირექტორებთან ურთიერთობა, მჯდომარე პოზიციაში მუშაობა, რეგულარული სტრესი, კომპიუტერთან მთელი დღის გატარება, მხედველობის პრობლემები და ა.შ. დროც შედარებით ნაკლები გვრჩება სოციალური ურთიერთობებისთვის, მაგრამ ჩვენ რადგან ბევრი შესაძლებლობები გვაქვს, არ ვუშვებთ ამ შესაძლებლობებს ხელიდან და მაქსიმალურად ვცდილობთ და ვდებთ ჩვენს ენერგიას საქმეში. ჩვენს კომპანიაში მხოლოდ ორნი ვართ, საქმე გადანაწილებული როგორც არის, დროც იმის მიხედვით გვრჩება.

-ნათქვამია, რომ 21-ე საუკუნე ქალების საუკუნეა. ეს იმას გულისხმობს, რომ ქალებსა და მამაკაცებს აქვთ თანაბარი კარიერული შესაძლებლობები. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას და რატომ?

დღევანდელობაში, თითქოს ერთი შეხედვით ეს შესაძლებლობები გათანაბრებულია, მაგრამ ვფიქრობ, თუკი საზოგადოების მხრიდან სექსისტური მიდგომები შეიცვლება, ქალებისთვის მით მეტი უფლება გამოვა დღის სინათლეზე. ჩვენს რეალობაში, ჯერ ჯერობით, ასე არ არის. ზოგადად, როგორც ვუყურებ შესაძლებლობების მხრივ, ორ საქმეზე ერთდროული ფიქრი, რამდენიმე საქმის პარალელური კეთება, ამას მხოლოდ ქალები აკეთებენ. კარიერის შექმნის, წინსვლის, განვითარების შესაძლებლობა ყველას უნდა ჰქონდეს, არ აქვს მნიშვნელობა ის კაცია თუ ქალი. მნიშვნელოვანია ამის გათავისება.

-როგორ ფიქრობ, რა სჭირდება ადამიანს წარმატების მისაღწევად?

მიზანდასახულობასთან ერთად მონდომება. მთავარია ადამიანს ჰქონდეს რეალური სურვილი, გულით უნდოდეს რაღაც და ყველაფერს შეძლებს, გააკეთებს.

-რას ურჩევდი ადამიანებს, რომლებიც არიან იქ, სადაც არ მოსწონთ, აკეთებენ იმას რაც არ უყვართ და ამავდროულად ვერ გაუბედავთ ისწავლონ რაღაც ახალი და გადადგან გამბედავი ნაბიჯები?

უპირველესად, საკუთარ თავში უნდა გაარკვიონ რა უნდათ, რა სურთ, რას ელოდებიან საკუთარი თავისგან, რა შესაძლებლობები აქვთ, რის მიღება უნდათ, რა უნარები უნდა განავითარონ, რომ ბედნიერები იყვნენ. უნდა დაისახონ მიზანი და იშრომონ იმისთვის, რომ რეალიზდნენ. თუ მიზანი არ აქვს ადამიანს, ის ცარიელია. მხოლოდ ლიტონ სიტყვებად არ უნდა დარჩეს სურვილი: „აქ არა, სხვაგან მინდა“. ქალებს განსაკუთრებულად ვეტყოდი: რაც მეტი ამოიღებს ხმას თავის გრძნობებზე, ემოციებზე, სურვილებზე, პრობლემებზე, შეხედულებებზე, აზრის დაფიქსირებაზე, უფრო გამარტივდება ცხოვრებაც და უფრო ადვილი იქნება სხვასთან კომუნიკაციაც. მაგალითად, სადღაც მუშაობენ და ეს არ მოსწონთ. უნდა დაფიქრდნენ, რას აკეთებენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად? აქვთ თუ არა ალტერნატიული გზები მოძიებული არასასურველი მდგომარეობიდან გამოსასვლელად? შეიყვარონ საკუთარი თავი, რომ მოიწყონ კარიერა, მისცენ შვილებს წარმატებული მომავალი. ვეტყოდი: შენ თუ არ იყავი კარგად, ვერც ვერავინ იქნება კარგად გარშემო. ვიტყოდი, რომ იბრძოლონ საკუთარი ბედნიერებისთვის.“

ესაუბრა
ხათუნა ბენაშვილი

ამინდი

	ორშაბათი 13.03		სამშაბათი 14.03		ოთხშაბათი 15.03		ხუთშაბათი 16.03		პარასკევი 17.03		შაბათი 18.03		კვირა 19.03	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	20°	6°	19°	4°	16°	4°	17°	6°	16°	7°	15°	6°	13°	5°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარჯყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი